ცნობის ფურცელი

№ 1794 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 30 აპრილი № 1794

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შაბათს, 4 მაისს,

ადამ გრიგოლის ძის ყარანგოზოვის

გარდაცვალების წლის თავზე, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში დუშეთში გარდახდილ იქმნება **წირვა** და **პანაშვიდი** განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც მისი ქვრივი და შვილები ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ. (3—1)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან. და **50** კაპ.

ადრესი: **Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).**

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად „**ივერიის**“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, იოსებ თადეოზის-ძე, დოქტორი გეწაძე, სპირიდონ იოსების ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, დოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გელეიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არანაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა. (ნ. 3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.))

ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 აპრილს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა და **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I.

კრეჩინსკის ქორწილი

კომედია 3 მ. სუხ.-კობილინისა, თარ. ა. ღულაძისა.

II.

დედის ერთა

ვოდევილი 1 მოქმედებად, ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, რომანიშვილი და სხვ: ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და სხ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, **№ 40,** თულაევის სახლი.

ქუთაისის გუბერნიის **მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის** წლიური საზოგადო კრება გადიდვა კვირას, ხუთ მაისის, დილის ათი საათისათვის.

(ნ. 6—2) **ნ. წერეთელი**

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რუსთის ქუჩა **№ 24.**

ტელეფონი № 642.

ტფილისიდან წასვლის გამო დიდუბეში ისყიდება სახლი, რომლის ფასადი ორ ქუჩაზეა: ანდრეევსკაია და შერემეტიევსკაიაზე; 15 ოთახი და 1 მაღაზია, ქვეშ სარდაფი. უპირველესი ადგილი. პირობების გაგება შეიძლება სახლის პატრონისაგან. (6—6)

ქართული თავმოყვარეობა

(რედაქციისადმი წერილიდან)

ქართულ თავმოყვარეობის ერთი შესანიშნავი მაგალითი ბ. სიტყვამ აღნიშნა—ემერიკმა მარგანეცის მრეწველთა კრებაზე უშვერის სიტყვებით დალანძღა იქ დამსწრენი, როგორც ქართველნი, და მთელ კრებულში არ აღმოჩნდა ისეთი, რომ ბურთი პირში ჩაეჩარა ამ თავხედ უცხოელისათვის, თუმცა კრებაზე ბევრი ისეთი პირები ბრძანდებოდნენ, რომელნიც თავის მეზობელსა და ახლობელს სისხლს ამოანთხევინებდნენ უფრო მცირე და უმნიშვნელო შეურაცხყოფისათვის...

მეორე მაგალითი ჩვენებურ თავმოყვარეობისა დიდი ხანია თვალწინ გვაქვს, მაგრამ აქამდე მისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია.

„ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის უკანასკნელ და თავხედ საქციელს (ლისოვსკის გამო) საზოგადოებამაც და გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება. მაგრამ ამ, უკაცრავად პასუხია, გაზეთისაგან ასეთი ქცევა არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება. ისე ნომერი არ ვამოვა ამ „გაზეთი“-სა, რომ შიგ ქართველობაზე „დანოსი“, საზოგადოთ მეტად ცუდის სუნის წერილი არ იყოს დაბეჭდილი. ყოველ დღე პალმი გვათრევს და გვლანძღავს, თავმოყვარეობას გვილახავს, გვამცირებს და ჩვენ ამას ვითმენთ, ეს ცოტაა, ვიწერთ მის გაზეთს, ეს კიდევ ცოტაა—ვთანამშრომლობთ ასეთ ყოველ რიგიანობაზე ხელ-აღებულ ორგანოში. ბ. ვლადო ბზვანელი („ივერიის“ მუდმივი კორესპონდენტი), თავბერა და სხვები ხშირად უგზავნიან თავიანთ წერილებს პალმს, იმ პალმს, რომელიც ყოველ დღე თავის ამ თანამშრომლებს წმინდათა წმინდას უგინებს.

ნუ თუ ვერ ხედავენ, ან ვერ გრძნობენ ეს ბატონები, თუ რამდენად იმცირებენ თავს პალმთან თანამშრომლობით?!

ნამდვილი ჩვენებური თავმოყვარეობაა!

რათ უნდა გვიკვირდეს ამისთანა მაგალითების შემდეგ, რომ პალმისთანა ვაჟბატონებიც კი ასე აგდებას გვიბედავდნენ.

გაზეთის მკითხველი

საზღვარ-გარედ

გერმანია. პრუსიის სეიმში განიხილეს მოხსენება „პოზნანის დასახლების სამეფო კომისიის“ მოქმედებაზე. ამის გამო სეიმში ცხარე კამათი ატყდა 1886 წლის კანონის შესახებ (ამ კანონით იწყება პრუსიის სახელმწიფოს რეგულიარული მოქმედება პოზნანში გერმანელ კოლონისტების დასასახლებლად). ეგრედ წოდებულ „უგოლოვინ“-ცების დასის (ეს ის დასია, რომელიც პრუსიის მთავრობისაგან მოელის პოლონელების მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამიტომ ყოველ ღონეს ღონობს თავი მოაწონოს ამ მთავრობას და დაარწმუნოს იგი, რომ პოლონელები პრუსიის მეფის ერთგული ქვეშევრდომებია) ყოფილი მეთაური კოსპელსკი და თავადი რადზივილი ამტკიცებდნენ, რომ 1886 წლის კანონი კონსტიტუციის წინააღმდეგია: ყოვლად უკანონო არის ებრძოლოთ ქვეშევრდომების ერთ ჯგუფს (პოლონელებს) ყველა ქვეშევრდომების (პოლონელებისაც) ფულითო, სთქვა კოსპელსკიმ. რაც შეეხება საქმის ფინანსიურ მხარეს, გერმანულ კოლონიზაციის საქმე ძალიან ცუდათ მიდისო: ზარალი 8 მილიონ მარკაზე მეტი არის. მაგალითისათვის ორატორმა მოიყვანა ერთის ახალშენის ბიუჯეტი და დაამტკიცა, რომ ბალანსი ისე ყალბად იყო შედგენილი, რომ კანონი მოითხოვს საქმეში ბრალმდებელი ჩაერიოს. „მთელის კომისიის მოქმედების ხასიათი სრულებით არ შეეფერება სახელმწიფო დაწესებულებას. ჩემი მონარქიული გრძნობა შეურაცხყოფილია იმითი, რომ პრუსიის სახელმწიფოს ეს დაწესებულება უარ-ჰყოფს პრინციპებს, რომელიც სავალდებულოა ყოველი სერიოზულ სავაჭრო-სამრეწველო საქმისათვისაც კი. ასეთ პირობებში საკოლონიზაციო კომისია ღირსი არ არის, რომ მას ჰქონდეს სახელწოდება „სამეფო“ კომისიისა.

მიწად მოქმედების მინისტრმა პოდბიელისკიმ (გაგერმანელებული პოლონელია) საპასუხოდ ის განაცხადა, რომ პოზნანის დასახლებას მიზნათ აქვს „გერმანულ კულტურის გავრცელება აღმოსავლეთისაკენ“. თავადი სადზივილი ამტკიცებს, რომ ის „კულტურული სიკეთე“, რომელსაც გერმანელები უშვრებიან პოლონელებს, არის შედეგი მთავრობის აზრების ჯერ უნახავ და ყოვლად წარმოუდგენელ არეულობისა.

გერმანიის რეიხსტაგშიაც იყო ლაპარაკი „გერმანულ კულტურის აღმოსავლეთისაკენ გავრცელებაზე“. პოლონელი დეპუტატი ხშანოვსკი იცავდა სამშობლო ენის უფლებას სამღვთო სჯულის სწავლების საქმეში და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ გერმანულმა ენამ დაჰკარგა კულტურული ენის ხასიათი მას შემდეგ, რაც მას ძალით ასწავლიან პოლონელებს: გერმანული ენა შეიქნა ენა მძულვარებისა და უსამართლობისა პოლონელების მიმართო.

ახალი ამბავი

◆ ქალაქ ახალციხის რწმუნებულებმა შეიძინეს დიდებული ხატი წმ. გიორგისა ახალციხის წმ. გიორგის ტაძარში დასასვენებლად, სახსოვრად ღვთივ განსვენებულის **დიდი-მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრე ძისა**, რომელიც ახალციხის მაზრაში—აბასთუმანში სცხოვრობდა.

◆ დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყებას გამოუგზავნია ტფილისში ორი თავისი მოხელე, რათა ფულის და საოჯახო საქმეების **რევიზია** გაუკეთონ ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტს.

◆ შეუძლებელ **კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრებას, შაბათს, 27 აპრილს დაესწრო 55 კაცი. ვიდრე კრება გამგეობის წევრთა არჩევნებს შეუდგებოდა, განხილულ იქმნა ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, წესდების მე-6 §-ის თანახმად, გარდასწყვიტა საზოგადოების ნამდვილ წევრებზე ყოველ წლიურ გადასახადათ დაწესებულ იქმნას 3 მ.; შემდეგ კამათი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ შემწეობის აღმოსაჩენად გამგეობის თავმჯდომარის საკუთარ განკარგულებაში რამდენი ფული უნდა იქმნასო; ცოტა ხანს მოლაპარაკების შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა აღნიშნულ მიზნისათვის გამგეობის განკარგულებაში გადადებულ იქმნას 100 მან. კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია თავმჯდომარის წანადადებამ იმის შესახებ, რომ ის 4500 მან., რომელიც ამ საზოგადოების მეთაურთ შეჰკრიბეს, ხელ-უხლებელ თანხად იქმნეს გადადებული თუ სახარჯო თანხაში ჩაირიცხოს. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა 4,000 მან. ხელ-უხლებელ თანხად ექმნეს საზოგადოებას, ხოლო დანარჩენი 500 მან., სარგებელი ამ ფულებისა და სხვა შემოსავალი სახარჯო თანხაში იქმნეს შეტანილიო. შემდეგ შეუდგნენ გამ-

გეობის წევრთა არჩევნებს, რომლის შედეგი უკვე გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული.

◆ 28 აპრილს შესდგა **გადამწერლების დამხმარებელი საზოგადოების „შრომის“** წევრთა სხდომა. ამ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ბ. შარიგინი. სხდომამ საპატიო წევრებად საზოგადოებისა აირჩია. კავკასიის მთავარ-მართებლი თავ. გ. ს. გოლიცინი, მეუღლე მისი კნეინა მარიამ თეოდორეს ასული, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი ფრეზე, სულთან-კრიმ-გირეი, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ბ. ვრასსკი და ინჟინერი ნოვომეისკი. საწევრო ფული წელიწადში ექვსი მანეთია, ერთ ხნობით შეტანილი ხუთი მანეთია. საწევრო ფულის ნაწილებად შეტანა შეიძლება წლის განმავლობაში, მხოლოდ 23 დეკემბერს სრულიად უნდა იყოს შეტანილი.

◆ კვირას, 28 აპრილს, კ. ე. ანტონოვის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება **შრომის მოყვარეობის ხალხის** ტფ. სამზრუნველო საზოგადოების წევრთა. კრებამ განიხილა საზოგადოების წარსულ 1901 წლის მოქმედების ანგარიში. ანგარიშიდან სჩანს, რომ 1901 წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია სულ 8197 მან., ხოლო გასავალი 7788 მან. კრებამ დაამტკიცა ანგარიში შეუცვლელად. ხმის უმეტესობით უმნიშვნელო ცვლილების შემდეგ დაამტკიცა აგრეთვე საზოგადოების ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; დაახლოვებით საზოგადოებას წელს ექნება 23,000 მან. შემოსავალი და ამდენივე ხარჯი. შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება გამგეობისა გამგეობის მოსათავსებლად საკუთარ სახლის შეძენის შესახებ. ცოტაოდენი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა გადაიდოს აღნიშნულ მიზნისათვის ამ ჟამად 7590 მ. საქართველოს ეგზარხოსის ალექსის საზოგადოების საპატიო წევრად ამორჩევის შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების გამგეობის წევრთა და სხვა მოხელეთა არჩევნებს. კენჭის ყრით გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნი სვეჩინაკი, ნ. ს. შაჰპარონიანცი და ბუტენკო; მათ კანდიდატებად: კ. ე. ანტონოვი, მ. ი. მისენკო და ს. ფ. ნოვომეისკი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩიეს: ა. პ. ანდრეევი, ლ. ი. შევალიე და ა. ა. გლასკო, ხოლო მათ კანდიდატებად—ი. ი. წინამძღვარიშვილი, მ. დ. ელჩუკოვი და დ. ე. ნიკიტინისა.

◆ დღეს, 30 აპრილს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ა. ნ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა **სანტატისტიკო ბიუროს** კომიტეტისა; უნდა განიხილონ სტატისტიკოსის ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შედგენილი და შევსებული პროექტი იმ პროგრამისა, რომელიც ბიურომ უნდა გამოიყენოს სახელმძღვანელოდ სტატისტიკურის ცნობების შესაგროვებლად.

◆ სადგურ მიხაილოვიდან გვწერენ, რომ 25 აპრილს იქ გაუვლია **საქართველოს ეგზარხოს** მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ალექსის; დაუთვალიერებია რკინის გზის იქაური ეკლესია, რომლის მოწყობა ძლიერ მოუწონებია, შემდეგ ყოფილა რკინის გზისავე სასწავლებელში და გამგზავრებულა ბორჯომს.

◆ ცნობილი საქმე თავ. დიმიტრი **ჭავჭავაძის ანდერძის** შესახებ, რომლითაც სამოსწავლო უწყების მთავრობის განკარგულებაში დატოვებულ იქნა 200,000 მან. და რომელსაც აღნიშნულ უწყებას ჭავჭავაძის მემკვიდრენი ედავებიან, განსახილველად დანიშნულია ტფილისის სამოსამართლო პალატაში პარასკევს, 3 მაის. მოდავე ჭავჭავაძეების ინტერესებს დაიცავენ ნაფ. ვექილები ბ-ნი კედრინი და ბ-ნი ოპოჩინინი.

◆ ბლაღოჩინის პახუმ კილურაძის საქმე, რომელსაც ბრალად ედება მღვდლის ალექსი ჯაშის **მოკვლა**, ტფ. სამოსამ. პალატას უნდა გაერჩია გუშინ, 29 აპრილს, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, გადასდო ახალს განკარგულებამდე.

◆ შაბათს, 4 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს კირილე შალამბერიძისას, რომელსაც მამის **მოკვლა** ედება ბრალად.

◆ ჩვენ გვაუწყებენ, რომ შემოდგომიდან ქალაქ ყარსში გახსნიან სამ-კლასიან საქალაქო **სასწავლებელს**.

◆ კვირას, 28 აპრილს, ტფილისის სახაზინო თეატრში, როგორც მოხსენებული გვქონდა, გაიმართა სალიტერატურო დილა რუსეთის გამოჩენილ მწერლის—პოეტის **ჟუკოვსკის** მოსაგონებლად. დილას დაესწრნენ ტფილისის საშუალო სასწავლებლების შეგირდები, მათი მასწავლებელნი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ბევრი საპატიო პირი. სცენაზე ჟუკოვსკის ქანდაკება ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს, წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვები და წაიკითხეს პოეტის ზოგიერთი თხზულებანი.

◆ კვირას, 28 აპრილს, გამგეობის წევრებმა ჩერქეზიშვილმა და ენფიანჯიანცმა დაათვალიერეს ვერაზე, სატიოზე, ის ადგილი, რომელიც სასულიერო უწყებამ სთხოვა ქალაქს მეტივეებისთვის **სამლოცველოს** ასაშენებლად. გამგეობის წევრებმა შესაძლებლად სცნეს, ეს ადგილი მთხოვნელებს დაეთმოთ.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაავალა ოზურგეთის სახელმწიფო თამბაქოს პლანტაციის გამგეს, ყურადღება მიაქციოს საუკეთესო თამბაქოს მოყვანას და ამასთანავე **მცხოვრებლებში გაავრცელოს** უმაღლესი ხარისხის ოსმალური თამბაქოს მოყვანა.

◆ პარასკევს, სამ მაისს, დანიშნულია კრება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხმოსნები ავთანდილოვი, სულხანოვი და თაიროვი, რომ გამოარკვიონ, რამდენად სასარგებლო იქნება ქალაქისათვის **სააღრეხო სტოლის** დაარსება და, საზოგადოდ, რა დაუჯდება ქალაქს სტოლის მორთვა-მოწყობა.

◆ გამგეობისა და ცალკე კომისიის სხდომაზე განიხილეს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ზუბალოვის შეწირულის სახლის გადაკეთებისა **ღარიბთათვის თავ-შესაფარად**. დაადგინეს, შეუდგნენ სახლის გადაკეთებას, რადგანაც ეხლა მასალა იაფია და სულ მოუნდება გაკეთებას 80,000 მანეთი, წინად გამოანგარიშებულის 100,000 მან. ნაცვლად.

◆ ამ დღეებში ავლაბარში ერთს მიყრუებულს ხევში იპოვნეს **გვამი** ახალ-ბაიაზეთის ბოქაულის თანაშემწის გუსევისა, რომელსაც ორი მძიმე ჭრილობა ჰქონდა ყელსა და გვერდში. მკვლელობის მიზეზი და მკვლელები ჯერ ვერ აღმოაჩინეს. მიცვალებული გუსევი წინად ტფილისში მსახურებდა, მეხუთე საპოლიციო ნაწილში უბნის ზედამხედველად.

◆ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, გამგეობას ნება მისცემოდა ლორთქიფანიძის ადგილის გვერდით, მუშტაიდის ბაღზე, პირდაპირი **გზა-ქუჩა** გაეყვანა დიდუბემდე. საბჭოს გარდაწყვეტილებით, ქუჩის გასაყვანად ქალაქს უნდა დათმობოდა 10 საჟენი მიწა. ახლა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია საბაღოსნო სასწავლებლის გვერდით აღნიშნულ ქუჩის გაკეთება, ხოლო რადგანაც ნამეტანი ფართო ქუჩის გაყვანა ზარალს მისცემს საბაღოსნო სკოლას, საჭიროდ სთვლის ქალაქს დაეთმოს ქუჩის გასაკეთებლად მხოლოდ ექვსი საჟენი ადგილი. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა, თანახმად კავკასიის მთავარ-მართებლის ბრძანებისა, წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას წარუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს საკითხი იმის შესახებ, მიიღებს თუ არა ქალაქი თავის თავზე ყველა ხარჯებს როგორც აღნიშნულ ქუჩის მოსაწყობად, აგრეთვე მომავალში მის შესანახად.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის 27 აპრილის სხდომაზედ ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა წარადგინა 6 **თხოვნა სხვა და სხვა ექიმებისა**, რომელნიც სურვილს აცხადებდნენ მე VI ნაწილის ექიმის თანამდებობის მიღებისას. გამგეობამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას რომ ქალაქის მე VI ნაწილში უმთავრესად სახლობენ მაჰმადიანები, რომელთა ქალები კაცებს საექიმო რჩევისათვის არ მიჰმართვენ ხოლმე, და გარდასწყვიტა აღნიშნულს ნაწილში საბჭოს ექიმად მიწვეულ იქნას ექიმი ქალი ა. ი. შჩერბინინა.

◆ ქალაქის გამგეობის სხდომაზედ ქალაქის სასანიტარო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ქალაქის **სამკურნალო კვირა დღეობითაც იქნას გაღებული**. გამგეობამ გადასწყვიტა დარჩეს არსებული წესი იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის საბჭო განმარტავდეს, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული სამკურნალოს შესახებ წესდებაში ხმარებული სიტყვა „ყოველ დღე“.

◆ 27 აპრილს მეშვიდე საპოლიციო ნაწილის მოხელეებმა შეიპყრეს ტფილისის საპატიმროს ტუსაღი **ციციკაშვილი**, რომელიც ამ დღეებში ვერაზე მუშაობის დროს გაიქცა.

◆ ქალაქის გამგეობის საქმის მწარმოებლებს ქალაქის თავის მოადგილისაგან დავალებული ჰქონდა გამგეობის მდივნისათვის მოეხსენებიათ ხოლმე უოველთვის იმ მოხელეთა შესახებ, რომელნიც სამსახურში დროზედ არ მიდიან და იგვიანებენ.. რადგანაც ეს მოხსენება სიტყვიერად ხდებოდა ხოლმე, გუშინ ბ-ნმა შესტაკოვმა ახალი ცირკულიარით მიჰმართა მწარმოებლებს, მდივანს წერილობით მიაწოდეთ აღნიშნული ცნობები და ამასთანავე მოხსენებაზე უსათუოდ ხელი იქმნეს ხოლმე მოწერილიო.

◆ ჩვენი გაზეთის 5 მარტის №-ში იყო დაბეჭდილი, რომ სთფ. გუბში მზრუნველად ამოირჩიეს ადგილობრივი გლეხი იდარ. სიმ. სვანიძე; უნდა იყოს: „კოლეჟ. ასესორი იდ. სიმ. სვანიძე.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზე, სიღნაღის მცხოვრებმა ნუბაროვმა ტფ. მოქალაქეს ყაზაროვს ჯიბიდან ამოაცალა გუშინწინ 100 მ. ნუბაროვი პოლიციამ დააპატიმრა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ დეპეშაში ხარიზიდან სწერია: „უფროსი სეკრეტარი მარტინიკი“... უნდა იყოს: უფროსი სეკრეტარი მარტინიკისა.

რუსეთის ქრონიკა

~ სახელმწიფო ბანკი დაეკითხა ყველა თავის განყოფილებათ წვრილ კრედიტის საქმის უკეთ მოწყობის შესახებ. ამის გამო ზოგიერთი განყოფილებანი თავის მხრით შეეკითხნენ ადგილობრივ ფინანსისტებსა და მრეწველთ და სთხოვენ მათ პასუხს შემდეგ კითხვებზე: საჭიროა თუ არა წვრილი კრედიტის საქმის მოწყობა როგორც შინამრეწველთა და ხელოსანთათვის, ისე სოფლის მეურნეთათვისაც; როგორი ორგანიზაცია წვრილი კრედიტისა უნდა ჩაითვალოს საუკეთესოდ; სახელმწიფო ბანკმა უნდა იკისროს ამ კრედიტის მოწყობის საქმე თუ ადგილობრივ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა; სახელდობრ რომელ დაწესებულებათ შეუძლიათ ითავონ ეს საქმე; შეიძლება თუ არა ყოველთვის მოიძებნოს სოფლად იმისთანა პირები, რომელთ არ გაუჭირდებათ ამ საქმის გაძღოლა; როგორ შეიძლება გაადვილდეს საკრედიტო ამხანაგობის საქმის წარმოება და სხ.

ამ პროექტიდან სჩანს, რომ სახელმწიფო ბანკი ენერგიულად შესდგომია წვრილ კრედიტის გაუმჯობესების საქმეს.

~ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ამ კვირაში პეტერბურგის საოლქო სასამართლომ უნდა გაარჩიოს გაზეთ „როსსია“-ს ყოფილ რედაქტორ-გამომცემლის საზონოვისა და ბ. ალბერტის დავა; პირველი უჩივის მეორეს მითვისებას 130.000 მანათისას, რაც შეადგენდა „როსსია“-ს ხელის-მომწერთაგან გამოგზავნილს ფულს.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

კვირას, 28 აპრილს, ქართველმა არტისტებმა წარმოადგინეს გუცკოვის ცნობილი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა; განსაკუთრებით კარგი იყო ბ. მესხიშვილი აკოსტას როლში. ეს არტისტი წინადაც გვინახავს ამ პიესაში, მაგრამ კვირას იგი თითქოს განსაკუთრებულ კარგ გუნებაზე იყო და უფრო მომეტო სისწორით და მასთან ძლიერის გრძნობით ჩაატარა. კარგად თამაშობდნენ ბ.ბ. გუნაია (ბენ-აკიბა) და იმედაშვილიც (რაბბინი). ივდითის როლი არ არის ქ. კარკარეთელისათვის. სხვები სუსტობდნენ, სტუმრები—სტატისტები უვარგისნი იყვნენ, მაგრამ საზოგადო შთაბეჭდილებამ ყველაფერი დაჰფარა. იშვიათად წამოვა საზოგადოება თეატრიდან ისე კმაყოფილი, როგორც [illegible] წამოვიდა წარსულს [illegible] მოსწავლე ახალგაზდობა ოვაციებით მიესალმა ბ. მესხიშვილს და [illegible] დიდხანს არ მოუშვა წარმოდგენის შემდეგ.— მეტად სასიამოვნოა, როდესაც არტისტების თამაში ხელს უწყობს პიესის შინაარსის დასურათებას და საერთო თანაგრძნობას იწვევს მაყურებლებში პიესის კეთილშობილურ აზრებისადმი.

ჰ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაუთა კრება

(როგორ მოიხმაროს თავად-აზნ. უმაღლესად ნაბოძები ფული და სხვა

თავად-აზნაურთა საზოგადო კრება 26 აპრილს დაიწყო დილის 10 საათზე.

წაკითხულ იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობამ შეიძინოს დეპუტატთა საკრებულოსათვის ხარაზოვის შენობა, მდებარე კათოლიკეების ქუჩაზე. საზოგადოებამ უარჰყო წინადადება.

საზოგადოებას მოხსენდა, რომ წელს შესრულდა 30 წელიწადი მის შემდეგ, რაც საქართველოს სახელოვანი მამულიშვილი ა. ცაგარელი ქართული ენის პროფესორადაა, და წინადადება მიეცა მას გაუგზავნოს პატივცემულ იუბილიარს მისალოცი დეპეშა. საზოგადოებამ ერთხმად მიიღო წინადადება.

შემდეგ წესიერება დაარღვია ერთმა წესიერების დამცველმა უბნის ზედამხედველმა გვათუამ, რომელიც ნებადაურთველად შემოსულიყო თეატრში. თავმჯდომარის წინადადებაზე, „გთხოვთ გარეთ მიბრძანდეთ, რადგან თქვენ აქ ყოფნის ნება არ გაქვთო“, მან უპასუხა: „მე აქაური პოლიციის მოსამსახურე არა ვარ (ტფილისელი ყოფილა), და, როგორც აზნაურს, დასწრების ნება მაქვსო“; მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თეატრის დარბაზი.

ხელახლად აღიძრა კითხვა იმის შესახებ, თუ რას მოახმარონ უმაღლესად ნაბოძები 20 ათასი მანეთი. წარმოითქვა ის აზრი, რომ სტიპენდიების დაარსება ან ინსტიტუტის გახსნა ჩვენი თავად-აზნაურობის ულარიბესი ნაწილისათვის სრულიად ხელმიუწდომელი იქნება, რადგან ორივე შემთხვევაში მხოლოდ ისეთები ისარგებლებენ, ვინც უფრო მდიდრებია და ადვილათ შეუძლიათ პროტექციის შოვნაო. უკეთესი იქნება, რომ იმ ხარჯს, რომელიც სჭირდება ეხლანდელ სააზნაურო სკოლის შენახვას, მივუმატოთ ეს 20 ათასი მანეთიც და ერთი ხეირიანი საშუალო სასწავლებელი გავხსნათო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საზოგადოებამ ითხოვა ეს კითხვა დროებით კიდევ გადუწყვეტელი დარჩეს და ამოარჩიეს კომისია, რომელმაც დაწვრილებით შეიმუშაოს ეს კითხვა და სექტემბრისათვის წარუდგინოს საზოგადოებას თავისი მოხსენებაო. კომისიაში არჩეულ იქნა ყველა მაზრებიდან 15 კაცი.

სხდომა 20 წამით შესწყდა.

განახლების შემდეგ წაკითხულ იქმნა კომისიის წევრთა სია; თ. აკაკი წერეთელმა უარი განაცხადა კომისიის წევრობაზე და მის მაგივრად არჩეულ იქნა ვასილ გიორგის ძე წერეთელი.

თავმჯდომარეს სურს წაკითხულ იქნეს წინა დღის ოქმი.

ს. თ. ხუნდაძე: რადგან ჯერ ვერ გადავწყვიტეთ, რას მოვახმაროთ უმაღლესად ნაბოძები ფული, და იქნება, დიდმა ხანმაც გაიაროს ამის გადაწყვეტამდის, საჭიროა აღიძრას კითხვა იმის შესახებ, თუ რა დროიდან უნდა ვიანგარიშოთ ეს ყოველ წლიური 20 ათასი მანეთი. თუ ეს დრო უმაღლესი რესკრიპტის გამოცხადების დღეა, იმ შემთხვევაში საჭიროა ვითხოვოთ, რომ ეხლავე მოგვეცეს ეს ფული, რომ შევიტანოთ რომელიმე საიმედო ბანკში და ცოტა სარგებელიც ავიღოთ.

თ. დ. გ. წულუკიძე ეთანხმება ს. ხუნდაძეს, მხოლოდ დაუმატებს: „თუ ნაბოძები ფული იმ დროიდან ითვლება ჩვენად, როდესაც უმაღლეს მთავრობას ჩვენს დამტკიცებულ პროექტს წარვუდგენთ, იმ შემთხვევაში საჭიროა დავაჩქაროთ ამ პროექტის შედგენაო.

საზოგადოების თხოვნით თავმჯდომარე კითხულობს უმაღლეს რესკრიპტს, სადაც ნათლად არა სჩანს ეს დრო.

დ. ა. ლორთქიფანიძე ამტკიცებს, ასეთ დროთ უნდა მივიღოთ რესკრიპტის გამოც-

ხადების დღეო, მხოლოდ პროექტის შედგენის დაჩქარების საჭიროებას მაინც ხედავს.

ს. დ. ჯაფარიძე: ნება მიეცეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ მან, თუ საჭიროება მოითხოვს, მოიწვიოს გარეშეთაგანაც აღზრდის საქმის მცოდნე პირები პროექტის შესადგენად.

დაბოლოს წაკითხულ იქმნა წინა დღის სხდომის ოქმი და, ცოტაოდენი შესწორების შემდეგ, დამტკიცდა.

სხდომა გადაიდო 27 აპრილის დილის 10 საათისათვის.

დონ-ვალიანი.

ჩვენს ქალებს

ჩვენს საჭირ-ვარამო დროში ბევრი რამ საგულისხმიერო თქმულა, ბევრი დაწერილა, ბევრი რამ დაგვიწყვია და გაგვიფუჭებია კიდეც, მაგრამ ამ საგანს კი, თუ რა უშველოთ ამ პაწაწინა არსებათ, ამ პაწაწკინტელა სულდგმულთ, რომელთაც სახელად „ბავშვს“ ეძახიან—ამაზე კი არამც თუ არა ვფიქრობთ, თითქმის განგებ თვალს ვხუჭავთ, გზას უქცევთ ამის შესახებ ყველაფერს. და მგონი, რომ პირველ საპატიო საგნად კი ეს უნდა გვქონდეს ჩვენ გათვალწინებული, ჩვენი ყურადღება, ჩვენი ძალი და ღონე ამ საგნისაკენ უნდა იყვეს მიმართული, ამ პაწაწინებს უნდა შეჰხაროდეს ჩვენი თვალები, ამათ უნდა გაუღიმოს ცხოვრებით ჩვენმა დავალებულმა გულმა. ესენი არიან ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი და ჩვენი ნუგეში. დედა მწუხარებაში უძლიერეს ნუგეშს პოულობს მათში, გარემოებისაგან ხმალ-ამოწვდილ კაცს მხოლოდ ესენი ულბობენ გულს და ქარქაშში აღებინებენ ხმალს. ესენი არიან ჩვენი ცხოვრების ბატონნი, ესენი არიან მეფეც და ყველაფერი, რაც კი რამ კარგი შეუძლიან წარმოიდგინოს ჩვენმა გონებამ და ალშეჰქდოს ჩვენმა გულმა. ჩვენ ვხარობთ მითი, ვამაყობთ, მატლად ვხდებით და ამავე დროს, კი ჟანჟაკ რუსოსი არ იყვეს, „არა ვრწყავთ და არ უვლით“ ამ მშვენიერ მცენარეს, რომ მან კარგი ნაყოფი გამოიღოს და ქვეყანა გაახაროს. სად არიან ეს ჩვენი დედები და მამები? რას აკეთებენ ამ მუდამ ჟამს სათაყვანებელს არსებათათვის? სად არიან ჩვენი საზოგადოება და რა გაუკეთებია ან რას აკეთებს ამ პაწაწკინტელა სულდგმულთათვის. პირველნი „ცხოვრების სიამით“ გართულნი მხოლოდ ერთს მერვედს თავის სიცოცხლისას თუ ატარებენ მათთან და მაშინაც უბრალო ხვევნა-კოცნაში იკლავენ ჟინს სიყვარულისას თავის ბავშვებისადმი და უფრო საგანგებო მხარეებს მათზე ზრუნვისას უბრალო საქმედ აქცევენ ხოლმე და გაიძახიან: „ადრეა სხვა გვარად ზრუნვა ჩვენს შვილებზე—იგინი გაიზრდებიან და თვითონვე გაიკვლევენ ცხოვრების გზასაო“; მეორე ხომ თავის წვრილმანს საქმეებსაც ვერ უვლის და როგორ გაუძღვება იმ საქმეს, რომელზედაც ეხლა ჩვენა ვლაპარაკობთ. ჩვენი ცხოვრება კი მიგოგავს უფერულად, უაზროდ და ჩვენც გამოურკვეველნი ავყოლივართ ამ ცხოვრების ტალღებს, თითქოს არც შვებას და არც იმედს ჩვენ აღარსაიდან არ მოველოდეთ. დრო კი არის, რომ გამოვერკვნეთ სალათს ძილიდან, დრო კი არის მოვიფშვნიტოთ თვალები და გარეშე ჩვენის დერეფნისა გადავავლოთ თვალი სხვებსაც, რომლიდანაც ბევრს რასმე წასაბაძავს მივაწყდებით და ბევრს რასმე საგულისხმიეროს ვისწავლით ჩვენს სადღეგრძელოდ და ჩვენის ბავშვების საბედნიეროთ. ყველა ხარობს, ყველა ზრუნავს პატარა ბავშვებზედ, ყველა ამაყობს მითი და მათ შესახებ მოქმედობს, მათ შესახები გეგმა ყველას გათვალისწინებული აქვს; არც ჩვენა ვართ მოკლებულნი ამ ზრუნვის უნარს და ჩვენც იმათზე ნაკლებ არ გვიყვარს ჩვენი ბავშვები, მხოლოდ ვერ მოგვიხერხებია ნორმალურათ ზრუნვა და ამაგის გაგრძელება, და მისთვისაც მოგმართავთ ისევ თქვენ, ნაზო დედანო, „მორწყეთ და იზრუნეთ“ თქვენი მცენარის აღორძინებაზე, რომ მისი კარგი ნაყოფით გაიხაროთ თქვენც და ჩვენს ქვეყანას თქვენის კარგი დედობით ნათელი მოჰფინოთ. მოიყარეთ ერთად თავი, მიივიწყეთ შუღლი ერთმანეთთან, მტრობა, ანგარიში წვრილმანებში და დააარსეთ თუ საზოგადოება არა, წრე მაინც სახელათ „დედათა ბავშვებზედ მზრუნავი წრე“, რომელიც იზრუნებს საყმაწვილო წიგნების გამოცემაზე და მის გავრცელებაზე, შვილის აღზრდის შესახებ წიგნების ბეჭდვაზე და მის გავრცელებაზე, იზრუნებს მის ჯანმრთელობაზე, უხელმძღვანელებს მათ თამაშობაში, ერთობაში, ჭირში და ლხინში. ჩვენც, მამაკაცები, გეფიცებით იმ პაწაწინა ბავშვების სახელსა და მათ მზეს, რომ ამოგიდგებით გვერდში, გაგამხნევებთ და გეთაყვანებით. არ მოგაკლებთ ჩვენს შრომას, ჩვენს გამოცდილებას, მტლად დაგედებით, ოღონდაც შეასრულეთ, განხორციელებაში მოიყვანეთ ეს აღნიშნული საქმე. თქვენ დააარსეთ ხომ ერთი პატარა წრე სახელად „თამარი“ და გინდათ კიდეც ქვეყანას მოჰფინოთ საგრონომიო ცოდნა. ღმერთმა კეთილი მოგცესთ, კაი საქმე ეს იყვეს, მაგრამ ამ თქვენს საქმეს განა შეედარება რამე? განა ამაზე საგულისხმიერო იქნება რამე? განა სახელი „თამარი“ უფრო უპრიანი არ იქნება ამ თქვენი წრისათვის, თქვენი საზოგადოებისათვის? მაშ აბა შეუდგეთ საქმეს, მივცეთ ერთმანეთს ხელი, დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი და შევერთდეთ-შევკავშირდეთ ამ საქმეში, რომელიც საერთოა, სათაყვანებელი და რომლიდანაც შეიძლება ჩვენი გულისა და სულის შეკავშირება—თვისტომობა სულისა. მაშ გაუმარჯოს მომავალ ქართველ-დედათა ბავშვებზე მზრუნავ წრეს და თქვენც, დედანო, ღმერთმა მოგანიჭოსთ მხნეობა ამ ძნელს, მაგრამ სიმპატიურ, საშვილიშვილო საქმეში.

ალ. ნათაძე

წერილი სოხუმიდან

(ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისადმი შუამდგომლობა და სხვა)

თითქმის დღეს ყველა ემდურის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას და უჩივის უმოქმედობას, უსაქმობას, უნდილობას და უენერგიობას; და ჩვენის ფიქრით, არც უსაფუძვლოდ: გამგეობას არა აქვს საქმე კარგად დაყენებული. სხვათა შორის, მას თითქმის ყველგან, სადაც კი ჰყავს, შესაფერი აგენტები არა ჰყავს და, გგონებ, არც კი ცდილობს იყოლიოს უფრო მხნე და მშრომელი აგენტები. აბა რა აგენტია ის პირი, რომელსაც ათის წლის განმავლობაში თავისი საწევრო ფულიც კი არ შემოუტანია? ყველა ჩვენს დაბა-ქალაქში მხნე და მშრომელი აგენტები რომ ჰყავდეს, წერა-კითხვის საზოგადოებას ათასობით ეყოლებოდა წევრები და საწევრო ფულიც უხვად შემოუვიდოდა. ჩვენ ქართველები, საზოგადო საქმის ასპარეზზე ჯერ ბავშვები ვართ და მათსავით გვჭირია მოვალეობის გახსენება, ამიტომაც საჭიროა ყველა მოზდილ ქალაქ-დაბებში კომიტეტიც დავაარსოთ, აგენტები კი სოფლადაც ბლომად ვიყოლიოთ.

მაგრამ თუ საზოგადოების გამგეობა ვერ იჩენს ჯეროვან საქმიანობას და ენერგიას, არც ქართველი საზოგადოებაა პირნათლად ამ საშვილიშვილო დაწესებულების წინაშე: ჩვენ რა გვიშლის მას ხელი შევუწყოთ და შეძლებისამებრ დახმარება აღმოუჩინოთ თუ ფულით, თუ ზნეობრივად? სირცხვილიცაა, ღმერთმანი, ორ მილიონ ქართველობას ვერ გამოუჩენია იმდენი სიყვარული საზოგადო საქმისადმი, რომ თითქო საკუთარი სკოლა ხეირიანად შეინახოს და მათ პირნათლად გაუძღვეს. არც ისე ღარიბნი ვართ, რომ ეს ვერ მოვახერხოთ; საქმე სიღარიბეში არაა, შეხედეთ ჩეხთა საზოგადოებას, როგორ თავს ევლება თავისს სკოლებს? როგორ გააძლიერა ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების მაგვარი დაწესებულება? მაშინ, როდესაც იქ ყოველ მეწვრილმანეს სასიქადულო მოვალეობად მიაჩნია ამ საზოგადოების წევრად გახდომა, ჩვენში თვით მოწინავე წოდებამაც არც-კი იცის, თუ რა არის წერა-კითხვის საზოგადოება? რა მიზანი აქვს? რას ემსახურება? სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, როცა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გესმის: არც მე, არც ჩემი მეუღლე არ ვეკითხულობთ წერა-კითხვის საზოგადოებასაო!

მით უფრო სასიამოვნოა, სოხუმის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილს რომ გადაუწყვეტია თავისი საკუთარი სკოლა დაიარსოს, რის გამოც უკვე მიწერ-მოწერაც გაუმართავთ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა სულითა და გულით მიეგებება ამ საქმეს და ხელს შეუწყობს, გაამხნევებს სოხუმის ქართველ საზოგადოებას და მით თავის კეთილ, საშვილიშვილო საქმეს სისრულეში მოაყვანინებს, და არა ფორმალისმით, უთავბოლო მიწერ-მოწერით საქმეს დააბრკოლებს, მოთავეებს ენერგიას შეუსუსტებს. ამის ასრულება ძნელი არაა: სოხუმის საზოგადოებას მშვენივრად შეუძლიან ერთკლასიანი საკუთარი სკოლა შეინახოს. იმედია, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან ერთად ქართველი საზოგადოებაც გაამხნევებს ამ საქმის მოთავეთ ზნეობრივად, თუ ქონებრივად.

აქვე დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი: ამას წინად სოხუმში გზად გამოიარა წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთ აგენტთაგანმა და მისის წინადადებით ორი საათის განმავლობაში ხსენებულ საზოგადოების წევრობის სურვილი განაცხადა და საწევრო ფულიც შემოიტანა (ექვს-ექვსი მანეთი) 29 კაცმა. აგენტს მეტი კვიტანცია არა ჰქონდა, თორემ, მე დარწმუნებული ვარ, ასზე მეტ წევრს უშოვნიდა საზოგადოებას. ვისთანაც მივიდნენ აგენტი და მისი მომხმარენი, არც ერთს უარი არ გამოუცხადებია, გარდა ერთის მდიდარი ვაჭრისა ბ. ე. გ—ძისა, რომელმაც ბრძანა: „რის საზოგადოება, რა საზოგადოებაო? საიმისოდ მე სად მცალიანო? უმისოდაც დიდს საქველ-მოქმედო ხარჯს ვეწევიო: წლიურად ქველ-მოქმედებაზე ასი თუმანი გამდისო!“ ამისთანეებმა არ უნდა შეგვაშინონ და იმედი არ უნდა დაგვაკარგვინონ! სამაგიეროდ ერთმა სურვილიც განაცხადა ერთბაშად ასი მანეთის შეტანისა.

სიამოვნებით ვაცხადებ აქ მათ გვარებს, ვინც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრად ჩაეწერა და საწევრო ფული ექვს-ექვსი მანეთი გაიღო საზოგადოების სასარგებლოდ:

1) ივ. ბურჭულაძე, 2) იონა გრიგოლია, 3) ნიკო კოკაია, 4) ალექსანდრე რატიანი, 5) ილარიონ მაღლაკელიძე, 6) სტეფანე თურქია, 7) სამსონ ალანია, 8) კონსტანტინე კიწურეიშვილი, 9) ტიმოთე ანჟა, 10) ალექსი ჯორჯიკია, 11) ევგენი თურქია, 12) ლუარსაბ ნებიერიძე, 13) ელიზბარ კაჭარავა, 14) ნესტორ მასხარაშვილი, 15) ფილიპე ერქომაიშვილი, 16) ბახვა გაბუნია, 17) თეიმურაზ გაბუნია, 18) იოსებ ლოლუა, 19) ნიკიფორე ერქომაიშვილი, 20) საჩინო თურქია, 21) ბესარიონ გვალია, 22) როსტომ კარანაძე, 23) დიმიტრი ჰავჰანიძე, 24) იოსებ კიწმარაშვილი, 25) ნიკოლოზ ჩიქოვანი, 26) ბეგლარ თურქია, 27) იასონ ჩაჩანიძე, 28) მელქისედექ ხახიაშვილი და 29) ანტიპ მარგანაძე.

როგორც ზევითაც შევნიშნე, სოხუმში ადვილად შეიძლება ასზე მეტი წევრი უშოვნოს საზოგადოებას კაცმა. ამისთვის, მე მგონია, უმჯობესი იქნება თვით სოხუმელთაგან შეადგინონ ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც დავალებული ექნება რაც შეიძლება მეტი წევრი უშოვოს საზოგადოებას და მასთან თუ წარმოდგენებით, თუ ხელის მოწერით მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს.

აქვე შევნიშნავ, წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ სოხუმელი ახალგაზდობა წარმოდგენას აპირობდა.

ჭამუთ-ბეი

უცხოეთის წვრილი ამბები

როგორ უნდა იცოცხლოს კაცმა დიდხანს. ინგლისის გამოჩენილი ექიმი ჟამე სავიე ურჩევს, ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე უნდა, ეს პირობები მტკიცედ ალასრულოს:

დღე-ღამეში რვა საათი დაიძინოს.
ძილის დროს მარჯვენა გვერდზე დაწვეს.
ღამით საწოლი ოთახის ფანჯარა გაალოს.
კარებ წინ შირმა დადგას.
საწოლი კედელთან ახლო არ გაიმართოს.
ყოველ დილას ნელ-თბილ წყალში იბანაოს.
ხორცი ცოტა სჭამოს და ისიც კარგა მოხარშული.
რძე არ დალიოს.
პური ბევრი სჭამოს.
ყოველ დღე კარგა ხანს ისეირნოს სუფთა ჰაერზე.
ოთახში არა ცხოველი არ შეინახოს.
რაც შეიძლება მეტი იცხოვროს სოფლად.
წყალი სვას და სინოტიეს ერიდოს.
დრო გამოშვებით თავისუფლებით ისარგებლოს.
შეზღუდოს თავის პატივის მოყვარეობა.
არ აჰყვეს სხეულის მოთხოვნილებათ.

ექიმ სავიეს აზრით, ვინც ამ პირობებს შეასრულებს, თამამად შეუძლიან ასი წლის სიცოცხლის იმედი იქონიოს და სიკვდილამდის თავის დღეში ავად არ გახდეს.

— ეს ყველა კარგი, მაგრამ ღვინო?!...

**

როგორ დასჭრეს ლორდი მეტუენი. ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია ერთი კაპრალის წერილი, რომელსაც ის თავის ცოლსა სწერს. ეს კაპრალი ბურებმა ტყვედ წაიყვანეს შვიდ მარტს ტვიბოშთან ბრძოლის დროს, რომელშიაც დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს ლორდი მეტუენი.

სხვათა შორის ინგლისის კაპრალი სწერს:

„... უკანასკნელი არტილერისტიც მოგვიკლა მტრის შეუბრალებელმა ტყვიამ. ლორდ მეტუენი, რომელიც ზარბაზნებს არ მოშორებია, მოვიდა ჩვენთან და ჩემგან ათ ნაბიჯზე გაჩერდა.

ხუთი წუთის შემდეგ გენერალი მეტუენი მარჯვენა გვერდში დასჭრეს. ისა ცდილობდა ცხენზე შემჯდარიყო, მაგრამ ცხენი ფეხზე დაიჭრა. და ამავე წუთს გენერალი მეორეთ დასჭრეს მარჯვენა ფერდში. იმას ცხენი ზედ დააწვა და ფეხი დაუშავა.

დაჭრილ მეტუენთან ექიმი საჩქაროდ მივიდა, რომ ჭრილობა შეეხვია იმისთვის, მაგრამ შეხვევის დროს უცბად სული გააფრთხობინა ბურის ტყვიამ; გენერალი კი მიწაზე ეგდო, ვიდრე ბურები არ მოვიდნენ და არ წამოაყენეს ზეზე.

ჩვენ მოგვიკლეს 350 კაცი და 800 ტყვედ წაგვიყვანეს. შუაღამისას ყველანი გაგვიშვეს და ჩვენც გავსწიეთ, საითაც მოგვხედა, ღვთის ანაბრად“.

**

ავაზაკობა ტეხასში (ამერიკაში). ეხლა ხან ბომონში, ტეხასში აღმოაჩინეს ავაზაკთა ბრბო, რომელიც შესდგება ცხრა კაცისაგან, მათში ექვსი თეთრ კანიანია, ერთი ზანგი (შავი) და ორიც ქალი ყვითელ-კანიანი. ეს ქალები ძალიან ლამაზები და ახალგაზდები არიან. თურმე ეს კეკლუცი ქალები შეიტყუებდნენ ხოლმე მდიდარ მგზავრებს, დაალევინებდნენ მაგარ სასმელებს, დროს ატარებინებდნენ, სასმელში დასაძინებელ წამალს გაურევდნენ და, როცა სტუმრებს დაეძინებოდათ, ავაზაკები სცარცვავდნენ იმათ და შემდეგ ხოცავდნენ. ამ ბრბოს, როგორც ამბობენ, ოთხასზე მეტი მკვლელობა ჩაუდენია.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ბომონის პოლიციას მოსდიოდა ცნობები, რომ ხალხი იკარგებაო, რომელთა კვალიც ამ ქალაქამდის მოდიოდა და აქ კი ჰქრებოდა. ბოლოს ქალაქის მთავრობამ ეს საზარელი საიდუმლო აღმოაჩინა ამ ავაზაკთა ერთი წალის წყალობით, რომელმაც ამხანაგებს უღალატა. მდინარე ნეტსესში იპოვეს თოთხმეტი გვამი გაცარცულ და დახოცილ მოგზაურთა.

ამ ამბის გამომჟღავნებამ ისე აალელვა ხალხი, რომ მთავრობას ეშინიან, აღელვებულმა მცხოვრებლებმა თავის სამართლით არ გაასამართლონ დამნაშავენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი.

კიევი. ბერდიჩევის ვაჭრების წარმომადგენლებმა საბჭოში შუამდგომლობა აღძრეს, რომ ბერდიჩევში სახელმწიფო ბანკის განყოფილება ან კერძო საკრედიტო დაწესებულების განყოფილება გაიხსნას.

უსტ-კამენოგორსკი. სახალხო სახლის საძირკველი ჩაყარეს.

ჩერნიგოვი. დღეს გადმოასვენეს მღვდელმთავრის თეოდოსიის პატიოსანნი ნაწილნი ბარისოგლებსკის ტაძრიდან სპასოპრეობრაჟენსკისაში.

ნოვო-მარგელანი. ვაჟთა გიმნაზიის შენობის საძირკველი ჩაჰყარეს.

აქმოლინსკი. პირველ მკათათვიდან არსდება მაგარ სასმელების სახაზინო მონოპოლია.

მალე ვერ დაივიწყებენ ზამთრის ნამოქმედარს. ჩრდილოეთ ყირგიზის ოლქებმა ნახევარი საქონელი დაჰკარგეს. დიდ გაჭირვებაში არიან.

ვენა. ბელგრადიდან დეპეშით იუწყებიან: რუსეთის ელჩმა ჩარიკოვმა აუწყა საერო კრების თავმჯდომარეს, რომ იმან დანიშნულებისამებრ გარდასცა საერო კრების ადრესი ოცდახუთის წლის შესრულების გამო ოსმალეთთან ომის გამოუცხადებისა და პასუხად მიიღო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალედ მიიღო სერბთა ხალხის გრძნობათა გამოთქმა.

სოხუმი. ნავთსადგურის აშენების გამოკვლევასთან ერთად იკვლევენ აგრეთვე წყლის მილის გაკეთებას, რკინის გზის გაყვანას ქვის სატეხთან, ჭაობების დაშრობას და მდინარე გნილუშკას გადაგდებას.

ორენბურგი. ხელოვნების მოყვარეთა ორენბურგის საზოგადოების სურათების გამოფენა გაიხსნა.

ვარშავა. ვარშავის დოღის საზოგადოების სამმართველომ აკრძალა, ტოტალიზატორის ბილეთები მიჰყიდონ შეგირდებს.

ორიოლი. დღეს მოვიდა მოსკოვიდან დიდი მთავარი ანდრია ვლადიმირის ძე და გაემგზავრა სადგურ ტერბუნზე ორლოვსკის გუბერნიის თავის საკუთარს მამულში.

29 აპრილი

პეტერბურგი. უკანასკნელ დროს პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში მეტის-მეტად დაარღვიეს საზოგადო წესიერება. საქმე ასე მომხდარა: მარტის შუა რიცხვებში პოლტავის მაზრის მახლობლად მდებარე კონსტანტინოგრადის მაზრაში მემამულეებთან ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ გლეხები და სთხოვეს, რადგან საზრდო აღარა გვაქვს, მუქთად დაგვითმეთ პური და საქონლის საკვებიო. ამასთანავე იმ ადგილებში დამ-დამეობით პურისა, კარტოფილისა და თივის ქურდობაც გახშირდა. გლეხებმა მალე დაანებეს თავი

თხოვნას და ძალადობას მიჰმართეს; ხშირად ჰყვიროდნენ: „სულ ერთია, მალე ყველაფერი ჩვენი იქნება!.“ მერე მუქარითაც მიჰმართეს, რომ, თუ ნებით არ მოგვცემთ—ძალით წაგართმევთო. ყველა ეს მოხდა ჯერ მარტო კონსტანტინოგრადის მაზრაში, სოფლებ მაქსიმოვკასა, ვარვაროვკასა, ფედოროვკასა და ლისიჩიეში; ამ უკანასკნელ სოფელში, როგორც აღმოჩნდა, ბუდე ჰქონიათ რამდენსამე პოლიტიკურ მოძღვრების მავნე მქადაგებელთ. ხალხის აღელვება თან-და-თან ძლიერდებოდა და ბოლოს, 28 მარტს, დიდ-ძალი გლეხობა სოფელ მაკსიმოვკასი და მეზობელ სოფლებისა თავიანთის ურმებით მიადგა მისს უმაღლესობის მეკლენბურგ-სტრელიცკის ჰერცოგის ერთ-ერთ მამულს „კარლოვსკას“. ამ მამულის მმართველს ხალხმა წაართვა ბეღლების გასაღებები და გამოზიდა რამდენიმე ათასი ფუთი კარტოფილი. ამით დაიწყო პოლტავისა და კონსტანტინოგრადის მაზრებში აშკარა არეულობა გლეხები გაბმული სამას-ოთხას ურმებით თავს ესხმოდნენ მემამულეთა და მდიდარ კაზაკთა კარმიდამოებს. ბეღლების და სარაიების კლიტეებს ამსხვრევდნენ და იქიდან პური და საქონლის საკვები გამოჰქონდათ, ამასთანავე სამეურნეო იარაღები მიჰქონდათ და შინაური საქონელიც მიჰყავდათ. ხან-და-ხან ხალხში გაისმოდა ყვირილი: „წაიღეთ! ისე უნდა მოიქცეთ, როგორც წიგნაკში სწერია! ყველაფერი ჩვენია!“.

30 მარტს პოლტავის გუბერნატორმა საჩქაროდ დაინახა წესიერების აღსადგენად საგანგებო ღონისძიებათა მიღება და ამისთვის წავიდა და თან სამი ბატალიონი ქვეითი ჯარი წაიყვანა. 31 მარტს შეუდგა არეულობის მოსპობას და კვალდა-კვალ მისდია გლეხებს. თუმცა ჯარების მოსვლამ ზედ-გავლენა მოახდინა იმ გლეხებზე, სადაც ჯარები დაბინავნენ, მაგრამ სხვა ადგილებში წესიერება მაინც არ დამყარდა და პოლტავის გუბერნიის ორსავე მაზრაში მემამულეთა აკლება მაინც არ მოისპო: 31 მარტს კონსტანტინოგრადის მაზრაში, სხვათა შორის, აიკლეს მდიდარ ვაჭრის ვოლიკის მამული, საიდანაც ოცი ათასი ფუთი პური გაჰზიდეს.

ამ მღელვარებამ ბოლოს ქალაქ პალტავამდეც მიაღწია. 1-ლ აპრილს გლეხები თავს დაეცნენ პოლტავის ახლო ტრეპკეს წისქვილს. ვიცე-გუბერნატორმა ორი როტა ჯარი გაჰგზავნა მისაშველებლად, მაგრამ ჯარი სწორედ იმ დროს მივიდა, როცა გლეხებს ტრეპკე უკვე აეკლოთ და დაბრუნებულიყვნენ. საერობო უფროსმა ოცი კაცი დაატუსაღა და გამოძიებას შეუდგა. ამავე დროს მარგილებითა და ფიწლებით შეიარაღებული ხალხი მოაწვა; ჯარის უფროსმა ხალხი გააფრთხილა და გამოუცხადა, იძულებული ვიქნები თოფები გესროლოთ, თუ არ დაწყნარდებითო, მაგრამ ხალხმა ქვა დაუშინა და მასხარად აიგდო. ამის შემდეგ ჯარმა თოფები დაცალა; ორი კაცი მოჰკლეს და შვიდი დაიჭრა; ამათგან ერთი კიდეც გარდაიცვალა; სხვები მძიმედ არ არიან დაჭრილნი.

2 აპრილს კონსტანტინოგრადის მაზრაში პალტავიდან მეოთხე ბატალიონიც მოიყვანეს და ამის შემდეგ არეულობა შეწყნარდა; თუმცა პოლტავის ახლოს ოთხი მამული კიდევ აიკლეს.

3 აპრილს ხელ-ახლად იფეთქა არეულობამ კონსტანტინოგრადსკის მაზრაში, თუმცა ამ არეულობას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამას შემდეგ პალტავის გუბერნიაში უწესოება სრულიად მოისპო. ამ გუბერნიაში სულ აკლებულია 54 მამული.

31 მარტს არეულობამ ხარკოვის გუბერნიაში იჩინა თავი და მოედვა ვალკოვსკის მაზრას და ბოგოდუხოვსკის მაზრის ნაწილს. ხარკოვის გუბერნიაში უფრო გამწვავდა არეულობა: გლეხები იმას აღარ სჯერდებოდნენ, რომ პური კარტოფილი და თივა მიჰქონდათ, დაიტაცეს იარაღი, წარეკეს შინაური საქონელი, ოჯახის ავეჯეულობაც თან მიაყოლეს, რამდენიმე სახლ-კარი გაანადგურეს და ორი კიდევაც დასწვეს. ხარკოვის გუბერნატორს თავ. ობოლენსკის აუწყეს 31 მარტს, საღამოს. იმ დამესვე წავიდა არეულობის ადგილებში და თან ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ასი კაზაკი წაიყვანა. დილით 1-ლ აპრილს ჯარი იმ დროს მივიდა, როცა ხალხი ინფანტერიის გენერლის პერლიკის მამულს სცარცვავდა; ხალხს ნადავლი წაართვეს, დამნაშავენი დასაჯეს და 50 კაცი დაატუსაღეს. ამას შემდეგ თავ. ობოლენსკიმ მიუსწრო გლეხებს იმ დროს, როცა ახლო მემამულეთ იკლებდნენ და ამ დროს აცნობეს, რომ სოფელ ნოვო-ივანოვსკაში ვაჭარ მოლდავსკის შაქრის ქარხანას იკლებენო, მაგრამ იმ დროს მიუსწრო ჯარით, როცა ქარხანა აკლებული იყო. ქარხნიდან წაეღოთ ოცდაათი-ათასი ფუთი შაქარი და ყოველ გვარი იარაღი; სულ ნაწილ-ნაწილ დაეშალათ და წაეღოთ ქარხნის მანქანები, თან გაერეკათ სამასი სული ხარი. ხალხი ამ დროს ისე გაათვთრდა, რომ საავადმყოფოც-კი აიკლო, ავთიაქიდან დაიტაცა წამლები, ავადმყოფებს ქვეშიდან ლოგინებს აცლიდნენ და თან მიჰქონდათ. ამ დროს გუბერნატორმაც მოასწრო კაზაკებით, ბევრი დაატუსაღა, დასაჯა და წესიერება აღადგინა. 1-ლ-სა და 2 აპრილს სხვა-და-სხვა ადგილებში არეულობას თუმცა დროზე მიუსწრეს და შეაჩერეს, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ყველგან აეცდინათ აკლება: პირველ აპრილს ხალხმა აიკლო მემამულის გაევსკაიას სახლ-კარი და ცეცხლიც წაუკიდეს. იმავე დღეს აიკლეს მდიდარი მამული კანტაკუზოვკა; გაცარცვეს ბეღლები, გარეკეს შინაური საქონელი და ოჯახის ძვირფასი მოწყობილობა და ბიბლიოთეკა დაიტაცეს. მემამულის დუხოვსკოის მამულში, ოსინოვკაში, გლეხებმა დაიტაცეს მთელი მოძრავი ქონება, სახლი სულ ფიცარ-ფიცარ დაშალეს და ისე თან წაიღეს.

პირველ აპრილს საღამოს, გლეხები მიუახლოვდნენ ქალაქ ვალკას. ორ აპრილს ამ ქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ გლეხების წინა რაზმები, რომელნიც ასაკლებად მიდიოდნენ, მაგრამ გუბერნატორმა მიუსწრო და ორ აპრილის საღამოს წესიერება დამყარებული იყო და დამნაშავენი დასაჯეს. ამით დასრულდა არეულობა ვალკოვსკის მაზრაში, სადაც სულ 25 მამულია აკლებული; ამდენივე მამულის აკლება დაუშალეს. ამის გარდა ვალკოვსკი მაზრის მეზობელ ბოგოდუხოვსკის მაზრაში აიკლეს ორი მამული სოფელ რიაბკოვკაში და ბლაგოდატნაში, სოფ. მარინის მამული კი დროზედ გადაარჩინეს.

ხარკოვის გუბერნატორის ენერგიულმა მოქმედებამ და იმის გამოცხადებამ, რომ თუ ნადავალს თავის ნებით დააბრუნებენ, დამნაშავეთ სასჯელი შეუმსუბუქდებათ, გლეხები ჩააფიქრა და ზოგიერთებმა კიდეც დააბრუნეს ნადავლი—წარმოადგინეს მამასახლისთან პატრონებისათვის გადასაცემათ, თან მორჩილებაც გამოაცხადეს და ამის შესახებ საზოგადო განაჩენებიც დაადგინეს.

დაიწყო თუ არა არეულობა, დაუყოვნებლივ გაჩნდნენ სასამართლოს წარმომადგენელნი და გამოძიებას შეუდგნენ. ამავე დროს ჟანდარმის ოფიცრებმაც დაიწყეს გამოძიება და აღმოაჩინეს, რომ პალტავსკისა და კონსტანტინოგრადსკის მაზრებში ამ უკანასკნელ წლებში მოუსავლობისა გამო შინაური მდგომარეობა გლეხებისა შევიწროებული ყოფილა და აქ გაუკეთებიათ ბუდე მთავრობის საწინააღმდეგოდ ქადაგებისათვის დაბეჭდილ წიგნაკების გავრცელებას მალოროსიულ ენაზე. ამ წიგნაკებით ხალხს იწვევენ, მთავრობას წინ აღუდექით და მემამულეთა საცხოვრებელს დაეპატრონეთო.

ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მართალი არ არის ის ხმა, რომელიც გაავრცელეს, ვითომ გლეხებმა თვით მემამულეებზე ძალა იხმარესო და ვითომ მთავრობამ გლეხებიც დაატუსაღაო. ეს ხმა იმიტომ გაავრცელეს, რომ მთავრობა იძულებული იყო არეულობის მეთაურები „როზგით“ დაესაჯათ. ამ სასჯელმა გასჭრა: გლეხები დაწყნარდნენ და სხვა უფრო სასტიკი საშუალების მიღება, ისე როგორც სოფელ კოვალოვკაში იყო, აღარ დასჭირდათ. მეთაურები და არეულობის ხელ-მძღვანელნი შეიპყრეს. აგრეთვე დაატუსაღეს ზოგიერთი იმათგანი, ვინც გლეხებში მთავრობის საწინააღმდეგო მოძღვრებასავრცელებდა. ამ ჟამად პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში საზოგადო მშვიდობიანობა აღდგენილია. უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიციის მხრით მიღებული საშუალებანი მომავალში მშვიდობიანობას დაიცავენ,

პეტერბურგი. ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი ლუკიანოვი დაინიშნა საერო განათლების მინისტრის ამხანაგად.

გაზ. „ვესტნ. ფინანს.“ მოჰყავს შემდეგი ცნობები რუსეთის ვაჭრობის შესახებ უცხო სახელმწიფოებთან. სულ გასულ წელს უვაჭრიათ 1,252,853 ათასი მანეთი, ე. ი. 1899 წლის ვაჭრობას აღემატა 4,7%-ტით. მაგრამ 1900 წელთან შედარებით შემცირდა 0,6%-ტით.

ვილნო. „ვილენსკი ვესტნ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები: სამოსწავლო ოლქში ამჟამად 10 სავაჟო გიმნაზიაა და სამი პროგიმნაზია; სწავლობს 5289 ყმაწვილი; მართლმადიდებელი 50%. ამათი შენახვა დაჯდა 788,476 მანეთი.

ბაქო. ნაშუადღევის პირველ საათზე შაჰი თავის ამალით როსტოვს გაემგზავრა. შაჰი დიდის ამბით გააცილეს. თან გაჰყვნენ გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე და ხელმწიფე იმპერატორის ამალის გენერალ-მაიორი ნიკოლაევი; უკანასკნელი საზღვარამდე მიაცილებს.

მოსკოვი. 28 აპრილს მოხდა კრება სანატორიების დამფუძნებელ საზოგადოებისა; გადასწყვიტეს სანატორია ააშენონ ესენტუკში 70 ავადმყოფისათვის, რომლებსაც უწამლებენ მზის სხივით და ჰაერით. სანატორიის აშენებას ივნისში შეუდგებიან.

მოსკოვი. 28 აპრილს აკურთხეს ცალკე სახლი მოროზოვის სახელობაზედ დაარსებულის საავადმყოფოსი. სახლი სულ დაჯდება ერთი მილიონი მანეთი.

აბრიკოსოვის ქვრივის მემკვიდრეები სწირავენ ასი ათასს მანეთს იმ პირობით, რომ მშობიარეთა სახლი ააგონ.

ჰონკონგი. კვანგ-სიში არეულობა თან-და-თან წყნარდება. მეამბოხენი რამდენსამე ადგილას დაამარცხეს.

პარიზი. 85 ხელ-მეორედ არჩევნების ამბავი გამოცხადდა: 69 დეპუტატი სამინისტროს მომხრენი არჩეულია და 16—სამინისტროს მოწინააღმდეგენი.—ალჟირში ყველა სემიტი გააშავეს.—საღამოს „ლიბრ პაროლ“-ის რედაქციის წინ ჩხუბი მოხდა. მანიფესტანტები ძლივს გაჰფანტეს.

—მარსელში აირჩიეს დეპუტატად ყოფილი ბრისონი, ვილნევე-სიურ-ლოში აირჩიეს საერო განათლების მინისტრი ლეიგი.

—საღამოს შეტაკება მოხდა საარჩევნო დარბაზში: ნაციონალისტების კანდიდატი ჟორჟ ტიბო და ერთი უცნობი დაიჭრეს. პოლიციის კომისარს ჯოხით სცემეს. მშვიდობიანობა აღადგინეს.

—პარიზში ამოირჩიეს მილიერანი; მისი მოსი მოწინააღმდეგე ნაციონალისტი პეშენი გააშავეს. სამინისტროს მომხრე სოციალისტი პიუში, ამოირჩიეს ნაციონალისტი, ლოსე-კი გააშავეს.—ნაციონალისტი კუჟი ამოირჩიეს, სამინისტროს მომხრე სოციალისტი ალემანი გააშავეს. ლიონში ამოირჩიეს სამინისტროს მოწინააღმდეგე ფლერი-როვარენი.

— ამოირჩიეს: დეპელეტიე, კლუტიე და მესიმი, ყველა ნაციონალისტებია; ბიუისონი, პასკალ-გრუსე, სამინისტროს მომხრენი—რადიკალ-სოციალისტები. ლილიდან ამბავი მოვიდა, რომ ახლად არჩეული ლორტი უეცრად გარდაიცვალაო.—ბულვარებზე დიდი სიცოცხლეა. არავითარი ამბავი არ მომხდარა.

—ამოირჩიეს მინისტრად ყოფილი გიესი. ნაციონალისტი ლაგერი გააშავეს.—მშვიდობიანობაა. ხმა დადის, ვითომ პასკალ-გრუსე უეცრივ გარდაცვლილა.

— პროვინციაში გააშავეს მინისტრად ყოფილი კრისტოფილი და რეიმაკი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ბიბლიოთეკა

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით იუწყება საყოველთაოდ საცნობელად, რომ ქალაქ ტფილისში ცხენთა იარმუკის დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ბ-ნ მთავარ-მართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისიდან იწყება
ცხენების იარმუკა.
იარმუკა გასტანს მაისის 18-მდე. ადგილი ზემორე აღნიშნულ იარმუკისათვის დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხენთა მოშენების საზოგადოების იპოდრომზედ, ანუ ყაბახზედ. (3—6.—1).

ფოთის
ქალაქის გამგეობა
ამით აცნობებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების ოთხი წლით 1902—1906 წწ., არჩევანში თანხმათ 35 მუხლის საქალაქო დებულებისა, საყოველთაოთ გამოცხადებული იქნება ამ 1902 წლის მაისის თუთხმეტს.
საქალაქო დებულების 33 მუხლის მეორე პუნქტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზე ქალაქის დასათვასებელი გადასახადისა ნახევარი წლისაზე მეტი ითვლება, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც სურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაწესებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით. 9 აპრილს 1902 წ..

ივანე როსტომაშვილის
სამეურნეო
სასწავლებელში
სწავლა დაიწყო 2-ს აპრილს. არის კიდევ 15 ვაკანსია. მთხოვნელებმა მოგვმართონ: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. пер. № 20). (10—298—10)

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.
გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის ჭურჭელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და მუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულობა. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკლესიო კუთვნილებანი.
ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.**

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან**
ჩვენგან ახლათ გაღებულს
სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე
სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკლესიის კანკელები, შენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.
ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.
(10—10) სახელოსნოს პატრონები ძმ. ვ. და დ. **გოცირიძეები.**

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ.-მბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.